პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 155 (5185)

1974 წ. 7 აგვისტო, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## „ამისგან უსათუოდ ჩემპიონი დადგება“

მიხეილ თიკანაძეს განსაკუთრებული ალღო აქვს ჩემპიონების გამოცნობისა. დაადგამს თვალს რომელიმე ახალგაზრდას, მოუსინჯავს მკლავს, მუხლს, ერთი ორჯერ სარბიელზე შეუშვებს, ჩაიცინებს და იტყვის: — ამისგან უსათუოდ ჩემპიონი დადგება!

ჩემპიონები ჭიდაობაში ციდან არ ცვივიან, თუმცა ამ წოდებით ქართველი გულშემატკივრები ზომაზე მეტად ვართ განებივრებული. ერთნი ჩემპიონები არიან ჭაბუკებში, მეორენი — ახალგაზრდებში... აგერ იმას ტოლი არა ჰყავს უფროსებში. ზოგჯერ თბილისის ფალავანთა კლუბში იმდენ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს შეხვდები ერთად, გეგონება მათი თავყრილობაა დანიშნულიო.



მ. ცნობილაძე.

ერთხელ მიხეილ თიკანაძემ ქერა, დაკუნთული ახალგაზრდა დამანახვა: დაიხსომე ამ ბიჭის სახე, აუცილებლად ჩემპიონი გახდებაო. სახის დახსომებას გვარის დახსომება ვარჩიე. „შარიანი“ კაცია მიხეილი, ვიფიქრე, მერე არ შემიცვალოს ნათქვამი-მეთქი. გვარი კი მართლაც დავიხსომე — მურად ცნობილაძე.

მან სულ მალე აალაპარაკა მწვრთნელები. 1967 წელს სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდებში. მერე ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და, როგორც განსაკუთრებით პერსპექტიული მოჭიდავე, სსრ კავშირის ნაკრებში ჩარიცხეს.

ამას წინათ ცნობილაძე უფაში გაემგზავრა საასპარეზოდ. საქართველოს ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ნოდარ ხოხაშვილმა წინასწარ მითხრა, ცნობილაძე უეჭველად მოხვდება საფეხულშიო. ასე ჰქონია თურმე გუნდს დაგეგმილი. საფეხულში მოხვედრა სამში ერთ რომელიმე მედლის მიღებას ნიშნავს. სამივე ჯილდო საპატიოა, მით უმეტეს, რომ მედალი უნდა დაიმსახურო იარიგინთან, ხასიმიკოვთან, მუხანოვთან, იკაევთან მძიმე ბრძოლებში.

... უფაში მე არ ვყოფილვარ. ამიტომ არ ვიცი, როგორ გუნებაზე იყო მურადი კენჭისყრის მერე. ვფიქრობ, კარგ ხასიათზე არ იქნებოდა, ვინაიდან ოთხიდან სამი მთავარი მეტოქე წილისყრამ მის ჯგუფში მოახვედრა. იკაევს ბედმა გაუღიმა. არც იარიგინს, არც ხასიმიკოვსა და არც მუხანოვს ფინალამდე არ შეხვდებოდა.

დაიწყო ძნელი სატურნირო ბრძოლა. ხასიმიკოვთან — ფრე (სტარტზე ასეთი შედეგი ასე თუ ისე კიდევ მოსათმენია), ნოვიკოვთან — წმინდა გამარჯვება, მერე — ქულებით მოგებული ბრძოლა ატამანოვთან და შეხვედრა მთავარ ფავორიტთან, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ იარიგინთან.

მურად ცნობილაძემ სწორედ აქ გატეხა ნავსი და მოჭიდავეთა შორის პირველმა დაჯაბნა სახელოვანი ფავორიტი. ამ ბრძოლის შემდეგ პირველად გაუტყდნენ მეტოქეები ერთმანეთს იმაში, რომ თურმე ერთი შეხვედრა თვით იარიგინმაც შეიძლება წააგოს. მაგრამ, თუ ეს შესაძლებელი ყოფილა, მაშინ არც ისაა გამორიცხული, რომ ქვემძიმე წონაში ჩემპიონი გახდეს ვინმე სხვა და არა იარიგინი.

ლოგიკის ძალით ეს სხვა მურად ცნობილაძე უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვით, მან პირველმა აჯობა მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს. მერე კი, როცა მურად ცნობილაძემ მუხანოვიც დაამარცხა, ყველაფერი თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ...

ამ წონაში ჩემპიონი გახდა იკაევი, ელბრუს იკაევი, ჯან-ღონით სავსე ორჯონიკიძელი ატლეტი. იმ ღირსახსოვარ საღამოს იკაევს გამარჯვებას ულოცავდნენ და თან მურადისკენ იყურებოდნენ, ვინაიდან ამ მილოცვათა ერთი ნაწილი სწორედ მან დაიმსახურა, მან, რომელმაც ასე კეთილსინდისიერად გაუკაფა გზა ახალ ჩემპიონს.

— რა გუნებაზე იყავი, მურად, იმ მომენტში, როცა ვერცხლის მედალი გადმოგცეს?

— გულის სიღრმეში ჩემს თავს ვწყევლიდი, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე რომ ვერ მივიყვანე. მაგრამ სპორტში ალბათ ასეა, დღეს მე გავუკაფე გზა მთავარ მეტოქეს და ამისთვის იგი უზომოდ მადლიერია ჩემი, ხვალ კი როლებს შევცვლით და ახლა უკვე მე დამჭირდება მადლობის თქმა. მთავარი ისაა, რომ მეც და იკაევმაც ისეთ საქმეში „შევტოპეთ“, საიდანაც უკან დახევა უხერხულია.

მე კარგად მახსოვს მიხეილ თიკანაძის სიტყვები: ეს ბიჭი უსათუოდ ჩემპიონი გახდებაო. ერთი რამ არ ვიცი 'მხოლოდ, რომელ ჩემპიონობას გულისხმობდა იგი — საკავშიროს თუ მსოფლიოს? ახლა ეს მინდა დავაზუსტო.

ნ. გუგუშვილი.

## სასოფლო თამაშების სარბიელზე

თამაშების პროგრამაში 12 სახეობაა

13 აგვისტოს სარატოვში დაიწყება მეორე საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური შეხვედრები. სარბიელზე გამოვლენ ყველა მოძმე რესპუბლიკის ნებაყოფლობით სასოფლო სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლები.

თამაშების პროგრამაში 12 სახეობა შედის. ოთხ სახეობაში — საცხენოსნო სპორტში, ტყვიის სროლაში, ჭადრაკსა და შაშში შეჯიბრებები უკვე გაიმართა. სარატოვში მოეწყობა ასპარეზობა დანარჩენ სახეობებში.

„კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მესვეურები და სპორტსმენები კარგა ხანია ემზადებიან ამ შეჯიბრებისთვის.

თამაშების პირველი ეტაპი იყო მასობრივი შეჯიბრებები სოფლის ფიზკულტურულ კოლექტივებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სოფლად განლაგებულ სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ შეჯიბრებებში საქართველოს დაახლოებით 300 ათასმა მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა.

მერე მოეწყო რესპუბლიკური თამაშების ფინალი, სადაც სასახელო წარმატებებთან ერთად ნაკლოვანებებიც გამოჩნდა. საერთო მოწონება დაიმსახურეს აჭარის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა და ძალოსნებმა, წყალტუბოს ფრენბურთელებმა, კასპის სამხისტებმა, მახარაძის მძლეოსნებმა, აფხაზეთის ხელბურთელებმა და მსროლელებმა. ამავე დროს, შეჯიბრებამ დაადასტურა, რომ რაიონებში ზოგიერთ სახეობას ნაკლები ყურადღება ექცევა. ასეთ ჩამორჩენილ სახეობებში ბევრმა რაიონმა წარმომადგენლები ვერ გამოიყვანა. ამიტომაც გაჭირდა საკავშირო თამაშებისთვის გუნდების დაკომპლექტება.

საქართველოს სოფლის სპორტსმენებმა უკვე იასპარეზეს საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ოთხ სახეობაში. თამაშების ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მცხეთელმა ოსტატმა ა. შამენკომ (მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა) — 596 ქულა 600-დან. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მსროლელებმა - VIII ადგილი დაიკავეს. საცხენოსნო სპორტში ჩვენები IX ადგილზე გავიდნენ.

წარუმატებლად ითამაშეს მოშაშეებმა და მოჭადრაკეებმა. მოშაშეებს ბოლოსწინა, XIV ადგილი ხვდათ, მოჭადრაკეებს — XII.

— სარატოვის სარბიელზე წარმატების იმედი გვაქვს სამბოში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, — განაცხადა სოფლის საკავშირო თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ფღენტმა. — ჩვენი აზრით, კარგად უნდა გამოვიდნენ მძლეოსნები, ველოსიპედისტები, აგრეთვე, ძალოსნები, ფრენბურთელები და ხელბურთელები. მთელი ჩვენი სპორტული დელეგაცია მოწადინებულია, რომ მოწინავეთა შორის იყოს.

თ. ნინოშვილი.

## დაუდევრობა არ უნდა გამეორდეს

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებით გადაწყვიტა ჩაატაროს საქართველოს მორიგი პროფკავშირულ-კომკავშირული საზეიმოდგომო მძლეოსნური კროსი. შეჯიბრების მიზანია საწარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება, ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელი და მოსწავლე ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა, შშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება და თანრიგოსანთა მომზადება, საკავშირო კროსისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

რესპუბლიკური ასპარეზობა ოთხ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპის შეჯიბრებები გაიმართება საამქროებში, განყოფილებებში, ცეხებში, ფაკულტეტებზე, კურსებზე. მეორე ეტაპს შეადგენს შიდასაკოლექტივო მასობრივი შეჯიბრებები, შემდეგ მოეწყობა მესამე ეტაპი — რაიონული და საქალაქო ტურნირები, რომლებშიც ფიზკულტურის კოლექტივების ნაკრები გუნდები გამოვლენ.

მეოთხე, დასკვნითი ეტაპია რესპუბლიკური პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის ფინალი, რომელიც 7-8 სექტემბერს თბილისში, კუს ტბის მიდამოებში გაიმართება. მონაწილენი ოთხ ჯგუფად დაიყოფიან.

ფინალში პირველ ჯგუფში გამარჯვებისთვის იბრძოლებენ პროფკავშირული სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდები. თითოეული კოლექტივის შემადგენლობაში 18 კაცი იქნება. II ჯგუფს შექმნიან საწარმოთა სპორტკლუბების მძლეოსნები (8-8 სპორტსმენი და თითო წარმომადგენელი). III (უმაღლესი სასწავლებლები) და IV (ტექნიკუმები) ჯგუფებში გუნდები 12-12 სპორტსმენს გამოიყვანენ. I-III და IV ჯგუფების გუნდები 8000, 5000, 3000, 2000 და 1500 მეტრზე გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. II ჯგუფისთვის პროგრამა იგივეა, ოღონდ ამ ჯგუფში შემავალ კოლექტივებს ჭაბუკები (3000 მ) და გოგონები (1500) არ გამოჰყავთ.

საქართველოს პროფსაბჭოს სპორტსაზოგადოებათა საბჭოების გუნდების წევრებს ნება დართო, რომ პარალელური ჩათვლა მისცემ თავიანთს საწარმოებსა და სასწავლებლებს.

ცალკეულ სახეობებში ჩათვლებს მიიღებენ ის კროსმენები, რომლებიც უძლიერესთა ოცეულში მოხვდებიან. ჩემპიონი თავის გუნდს 21 ქულას მოუტანს, მეორე პრიზიორი — 19 ქულას, მესამე ადგილზე გასული — 18 ქულას და ა. შ. გამარჯვებულად გამოცხადდება ის კოლექტივი, რომელიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს.

უძლიერეს გუნდებს გადაეცემათ თასები, აგრეთვე, საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელები. II და III ადგილებზე გასული კოლექტივები შესაბამისი ხარისხის სიგელებს მიიღებენ.

პრიზიორი სპორტსმენები დაჯილდოვდებიან პროფსაბჭოს და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სიგელებით.

კროსის დებულებაში ისიც ნათქვამია, რომ საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებას შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა წინასწარი განაცხადები 1 სექტემბრამდე უნდა წარუდგინონ, ძირითადი განაცხადი — 7 სექტემბერს. ამასთან სამანდატო კომისიას უნდა წარუდგინონ ექიმის მიერ დამოწმებული სახელობითი განაცხადი, სპორტსაზოგადოების, საწარმოს ფიზკულტურის კოლექტივის, უმაღლესი სასწავლებლისა თუ ტექნიკუმის კროსის ანგარიში, რესპუბლიკური კროსის დღისთვის ღონისძიების ორგანიზაციის ფიზკულტურის, პროფკავშირისა და კომკავშირის აქტივის მიერ გაწეული მუშაობის დახასიათება. უამისოდ გუნდები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან, რაც შეეხება სპორტსმენებს, მათ აუცილებლად თან უნდა იქონიონ პასპორტი, სპორტსმენის საკლასიფიკაციო ბილეთი, პროფკავშირის წევრობის ბილეთი, სპორტსაზოგადოების წევრობის ბილეთი, მივლინების ბარათი.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „ვოდნიკისა“ და „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური, „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ცენტრალური, აგრეთვე, „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოების, საწარმოთა სპორტული კლუბების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების ხელმძღვანელებს აფრთხილებს, რომ პროფკავშირულ-კომკავშირული რესპუბლიკური მძლეოსნური კროსისთვის მზადებაში შარშანდელივით გულგრილობა არ გამოიჩინონ, როცა ზოგმა ასპარეზობას თავი საერთოდ აარიდა, ზოგმა კი არასრული გუნდი გამოიყვანა.

საქართველოს პროფსაბჭოში

## მ. იაკუშინი — თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელად დანიშნა სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მ. ი. იაკუშინი.



ბალახის ჰოკეის ოსტატთა საკავშირო პირველობის დასკვნით ტურში ოქროს მედლებისთვის უმაღლესი ლიგის რვა გუნდი იბრძვის.

* * *

სურათზე: თამაშობენ „ვოლგა“ (ულიანოვსკი) და ასკ (სვერდლოვსკი).

ხაკდესის ფოტოქრონიკა.

საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული

# დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ ფორმალიზმს,

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული აქტივის ისეთი შინაარსიანი და საქმიანი კრება, როგორიც ამას წინათ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა, კარგა ხანია არ გვინახავს. კრების მიზანი იყო რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ამას წინათ მიღებული დადგენილების გაცნობა და მისი გადაწყვეტილებების განხორციელებისთვის გზების დასახვა.

აქტივის კრება გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. მახარაძემ, რომელმაც შეკრებილთათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ტექსტის გასაცნობად სიტყვა მისცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ო. ჩერქეზიას.

შეკრებილებმა დადგენილების ტექსტი გულისყურით მოისმინეს, შემდეგ კი დაიწყო კამათი. სიტყვით გამოსულნი მხურვალედ იწონებდნენ რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის საკითხებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას. უმეტესობა პირუთვნელად ამხელდა რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში ბოლო წლებში დაშვებულ უხეშ შეცდომებს, მათს გამომწვევ მიზეზებს, კრებამ ცოცხალი, საქმიანი, დაუნდობელი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა და ბევრი საინტერესო საკითხი დააყენა.

ტრიბუნაზეა

**ს. რიგვავა,**

**მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე**

— რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ძველ ხელმძღვანელობაში გამეფებულმა თვითდაჯერების, უკონტროლობის, მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შემოწმებისადმი გულგრილობის, სპეციალისტთა სიგნალებისადმი წაყრუების მავნე პრაქტიკამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ორგანიზაციებში ფორმალიზმის, სიყალბის გაბატონებას, მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის დონის დაცემას, რამაც თავის მხრივ სპორტის რეზერვების გაღარიბება გამოიწვია.

რაც შეეხება ბავშვთა სპორტს, ბოლო წლებში ყველა უბანზე უკან დახევა შეიმჩნეოდა. მაგალითად, თბილისის ორჯონიკიძის რაიონში, რომელიც დედაქალაქში მოწინავედ ითვლება, 22 საშუალო სკოლიდან კალათბურთის მოედანი მხოლოდ შვიდს აქვს, ფრენბურთისა — ხუთს, რაიონის ყველაზე დიდი, 55-ე საშუალო სკოლის ერთადერთ დარბაზში ფიზკულტურის გაკვეთილს ერთდროულად სამი კლასის მოსწავლეებს უტარებდნენ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სკოლების სპორტული ბაზებით უზრუნველყოფის საკითხი ჯერ კიდევ ვერ გადაჭრა. ფიზკულტურის სწავლება, სექციების მეცადინეობა ისევ არადამაკმაყოფილებელ დონეზე დგას, რამაც თავი სსრ კავშირის მოსწავლეთა XIII სპარტაკიადაშიც იჩინა — საქართველოს ნაკრებმა ორი საფეხურით უკან დაიწია.

სკოლებს, სადაც ჩვენი მომავალი, ჩვენი სპორტის რეზერვი იზრდება, უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ. განათლების ორგანოებს სექციური მუშაობისთვის სახსრები შეზღუდული აქვთ. ამის მიუხედავად, მათ რატომღაც უარი თქვეს იმაზე, რომ სკოლების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სპორტსაზოგადოებები უწევდნენ შეფობას.

დედაქალაქის მშენებლობების, საწარმოების, დაწესებულებების უმეტესობის ფიზკულტურულ კოლექტივებში გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ნაკლები ყურადღება ექცევა. ელმავალსაშენებელ ქარხანაში შარშან არავითარი შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები არ ჩატარებულა, საწარმოო ტანვარჯიში მხოლოდ 3 საამქროშია დანერგილი. ჩამორჩა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ავჭალის შუშის ქარხანაში და სხვა ორგანიზაციებში. დაბალია საცხოვრებელ ადგილებში გამაჯანსაღებელი მუშაობის დონე.

სერიოზული ხარვეზები არსებობს მშდ კომპლექსის დანერგვის მხრივ. საქმეს აფერხებს ტირებისა და აუზების სიმცირე. დაბალია ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის დონეც. პროპაგანდის საქმეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს დიდი მასშტაბის შეჯიბრებები, შარშან კი თბილისში სულ 5-6 ასეთი ასპარეზობა ჩატარდა, მაშინ, როცა მინსკი 170 საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი იყო.

მიზეზი? — კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების სიმცირე. თბილისში თითქმის არ მოგვეპოვება ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ბაზა. დანაშაული იყო „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქციის დაწყება, ვინაიდან ამისთვის საჭირო სახსრებით ახალი სტადიონის აგება შეიძლებოდა, სამარცხვინოდ გაჭიანურდა სანაპიროზე ერთ დროს არსებული საცურაო აუზის სანაცვლო ბაზის აგება, რაშიც, რა თქმა უნდა, თბილისის ქალაქის საბჭოც დამნაშავეა. აუზის ასაგებად საჭირო 2,5 მილიონი მანეთიდან 600 ათასი მანეთი უკვე დაიხარჯა. მშენებლობა სასწრაფოდ უნდა განახლდეს.

ბევრ რამეზე მიგვანიშნებს თბილისის ახალი ტრეკის მშენებლობის ისტორია. სპორტული ბაზების ასეთი სიმცირე ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში დაშვებული შეცდომების, გაბერილი ციფრების შედეგია. აუცილებელია ფართოდ გაიშალოს ახალი ბაზების მშენებლობა. ამ საქმეში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან უმაღლესმა სასწავლებლებმა, დიდმა საწარმოებმა, სწორედ ასე მოიქცნენ დიმიტროვის სახელობის ქარხანაში, როცა ოთხდარბაზიანი სპორტული კომპლექსი ააგეს.

სიტყვას ამბობს

**უ. ოგოლაძე,**

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე**

— სასკოლო სპორტის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. ახლა სკოლა უდარბაზოდ აღარ შენდება. წლეულს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 70 სკოლა, რომლებსაც სხვადასხვა ზომის სპორტული დარბაზები ექნებათ.

ათიოდე წლის წინათ მცხეთის რაიონის სკოლებს სპორტდარბაზი საერთოდ არ ჰქონდათ, ახლა იქ 6 ასეთი ნაგებობაა, მისაქციელის დარბაზი კი ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობა მაინც განიცდის ბაზების, განსაკუთრებით კი საცურაო აუზების დიდ ნაკლებობას.

უყაირათობისა და უდარდელობის შედეგია, რომ კატასტროფულად მცირდება არა მარტო ეზოების, არამედ სასკოლო სპორტული მოედნების რიცხვიც, რომლებიც საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ეწირება.

განათლების სამინისტროს განზრახული ჰქონდა დიღომში აეგო სკოლა, რომელსაც თითქმის ყველა სახის სპორტული ბაზა ექნებოდა, მაგრამ საქმე ქალაქის საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილებამ ჩაშალა. ორჯონიკიძის რაიონის 54-ე სკოლის სპორტულ ბაზებზე საცხოვრებელი სახლი ააგეს. პეკინის ქუჩაზე დაიწყო სკოლის მშენებლობა 1350 მოსწავლისთვის, მერე კი საცხოვრებელი სახლების კომპლექსი აშენდა.

საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში სპორტულ ბაზებს დიდი საწარმოები აგებენ. მაგალითად, „გომელსელმაშში" 6000-მდე მუშა და მოსამსახურეა. ქარხანას საკუთარი სპორტული ბაზებიც აქვს და ქალაქგარეთაც გააშენა შესანიშნავი კომპლექსი, რომელიც ბავშვთა დაოსტატების კერად გადაიქცა.

აფხაზეთში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შესახებ ილაპარაკა აფხაზეთის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ჯ. გუბაზმა.

მან ლაპარაკი ისე დაიწყო, თითქოს აქტივის კრება რაღაც საზეიმო თავყრილობა იყო. სწორედ ამიტომ, ამხ. ო. ჩერქეზიამ სიტყვა რამდენიმეჯერ შეაწყვეტინა და ჰკითხა, კონკრეტულად რა ღონისძიება გაატარეს მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადებაში, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაშლაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური ბრიგადის მიერ გამოვლენილი სიყალბისა და მიწერების აღმოსაფხვრელად, დასაჯეს თუ არა ამ საქმეში დამნაშავენი. გუბაზი შეეცადა ჩამორჩენის მიზეზად მოეყვანა სოხუმში სტადიონის გაჭიანურებული მშენებლობა, დოსააფის აუზის გათბობის სისტემის მოუწყობლობა, ტირის დანგრევა. მან აღნიშნა, რომ ტყვარჩელში ერთი აუზიც არ არის და მშდ კომპლექსის ნიშნოსნების მომზადების საქმე ამიტომაც ჩაიშალაო, ხოლო როცა ამ უსუსური არგუმენტის პასუხად შეახსენეს ტყვარჩელიდან ზღვამდე ავტობუსით ნახევარი საათის სავალიაო, ვერაფერი თქვა.

შემდეგ მან საყვედური გამოთქვა საქართველოს განათლებისა და ფიზკულტურის ხელმძღვანელი ორგანოების მისამართით.

— ალმა-ათაში, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში საქართველოს ნაკრების უხეირო გამოსვლა პროტექციონიზმის შედეგიცაა, — აღნიშნა შემდეგ ჯ. გუბაზმა. — გუნდში აფხაზეთის უძლიერესი სპორტსმენების, კალათბურთელების აჩბასა და ზახარჩიანის, ფეხბურთელ დარასელიას მაგიერ სხვა ნაკლებად პერსპექტიული სპორტსმენები ჩარიცხეს.

აქტივის კრება სამართლიანად ელოდა, რომ გუბაზი დაასახელებდა ბოლო წლებში აფხაზეთის სპორტსმენთა ჩამორჩენის მიზეზებს, რომელთა სათავეც მწვრთნელების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, ფიზკულტურული ორგანიზაციების უხეირო მუშაობაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ასე არ მოხდა.

სიტყვით გამოდის

**ვ. ბაქრაძე,**

**საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი**

— ფიზკულტურული და კომკავშირული ორგანიზაციების კავშირი ბევრგან მჭიდრო არ არის. მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის უკეთ წარმართვისთვის საერთო ძალით არ ვიბრძვით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მშდ კომპლექსის დანერგვის საქმეში. როგორც სტატისტიკა ცხადყოფს, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა მოსამზადებელ ჯგუფებში რესპუბლიკის მოსახლეობის მხოლოდ 30 პროცენტია გაერთიანებული, ნორმატივები კი სადღეისოდ 15 პროცენტს თუ აქვს ჩაბარებული. რესპუბლიკის ბევრი ფიზკულტურული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, საწარმო-დაწესებულების, სასწავლებლის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორები სათანადოდ ვერ აფასებენ მშდ კომპლექსს, არ ზრუნავენ ჩამბარებლებისთვის ნორმალური პირობების შექმნისთვის, ნიშნოსანთა მომზადების გეგმები კი ყოველწლიურად





მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების რესპუბლიკური პირველობა





## პირველი რესპუბლიკური...

ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა ბავშვთა და ჭაბუკთა მძლეოსნობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სპორტსკოლების პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის პროფსაბჭოსთან არსებული და განათლების განყოფილების, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალისა და ბათუმის სპორტსკოლები. ეს შეჯიბრება შესარჩევი იყო და წინ უსწრებდა საკავშირო ასპარეზობის ფინალს, რომელიც 21-22 სექტემბერს გაიმართება დნეპროპეტროვსკში.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ I ადგილი დაიკავა საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულმა თბილისის სპორტსკოლამ (დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. იოსელიანი) — 174 ქულა. 17 ქულით ჩამორჩნენ გამარჯვებულებს თბილისის განათლების განყოფილების აღსაზრდელები. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: 3. სოხუმი — 119, 4. ქუთაისი — 92, 5. ცხინვალი — 64, 6. ბათუმი — 55. საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა თექვსმეტი I და ოთხი II ადგილი მოიპოვეს.

ქუთაისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ დაწესებული იყო ხუთი პრიზი. ამ ხუთი პრიზიდან სამი სწორედ დ. იოსელიანის აღსაზრდელებმა მოიპოვეს. ესენი არიან: 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული გ. ბაღაშვილი (11,1), უროს ტყორცნაში I ადგილზე გასული დ. წოწკოლაური (57,74 მ). სხვათა შორის, წოწკოლაურმა ამას წინათ მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადაში (ალმა-ათა) II ადგილი მოიხვეჭა, მესამე პრიზი დაიმსახურა ამავე სპარტაკიადის ჩემპიონმა რ. ბაირამოვმა შუბის ტყორცნაში — 63,38 მ.

ორი დანარჩენი პრიზი დაისაკუთრეს თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლებმა: ე. ტუღუშმა — ბირთვის კვრაში რეკორდის (13,63 მ) დამყარებისთვის, და გ. თათარაშვილმა — სიგრძეზე ხტომაში (673 სმ) გამარჯვებისთვის.

შედეგები შეიძლებოდა უფრო მაღალი ყოფილიყო, მაგრამ ამას უამინდობამ შეუშალა ხელი, თუმცა სტადიონი კარგად იყო მოწყობილი საასპარეზოდ.

■ ■ ■

**სურათებზე:** ე. ტუღუში ჯილდოს მიღებისას; დ. წოწკოლაური უროს ტყორცნის დროს; ათიდში გამარჯვებული გ. ქემოკლიძე ასპარეზობისას.

## „მფრინავი ტორპედოს" სახელობისა...

ბორჯომის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით, გადაწყვიტა ჩვენს რაიონში ყოველწლიურად ჩატარდეს სპარტაკიადები „მფრინავი ტორპედოს", ცნობილი მოთხილამურის კობა წაქაძის სახელობის პრიზზე.

სპარტაკიადამ 16 ივნისს პირველად აიღო სტარტი ქალაქის სტადიონზე. პროგრამაში შედიოდა: მძლეოსნობა, ძალოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, ჭადრაკი. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „კოლმეურნის", „განთიადისა" და „შრომითი რეზერვების" გუნდები.

თვე-ნახევრის მანძილზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ გუნდური I ადგილი 87 ქულით „განთიადმა" დაიკავა. გამარჯვებულს გადაეცა კობა წაქაძის სახელობის გარდამავალი თასი, ხოლო საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებსა და მონაწილეებს დიპლომები.

**ნ. გოქაძე,**

**ბორჯომის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

აქტივის კრებაზე

# ულმობლად ებრძოლოთ: ყალბისმქნელობას, შემრიგებლობას, პროტექციონიზმს!

გადაჭარბებით სრულდება. როგორ ხდება ეს?

რესპუბლიკაში ამ მხრივ სიყალბე კვლავ რომ გრძელდება, ამას მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე საკავშირო პირველობის უკვე ჩატარებული ეტაპებიც ადასტურებს. საქართველოში სარაიონო, საქალაქო და ზონალური ტურნირები ბევრგან უხეიროდ მოეწყო. კოლექტივებსა და რაიონებს შეჯიბრებებში თითქოს თავიანთი საუკეთესო ნიშნოსნები გამოჰყავდათ, მონაწილეთა უმეტესობა აშკარად მოუმზადებელი იყო. თბილისშიც კი, სადაც ასობით ფიზკულტურელი ოქროს სამკერდე ნიშანს ატარებს, საქალაქო შეჯიბრებაში ბევრმა ყველა ნორმატივი ვერ ჩააბარა.

სავალალო მდგომარეობაშია სპორტული ბაზები. მაგალითად, დიღმის მასივში ფეხბურთის ოთხი მინდვრიდან დღეს მხოლოდ ერთი დარჩა, კალათბურთის 6 მოედნიდან — 2, ჩოგბურთის მოედნები სულ გაუქმდა... ბევრი საწარმოს ბაზები უპატრონოდაა მიტოვებული (მაგალითად, სპორტკლუბ „სინათლის" სტადიონი), მოზარდების ვარჯიშს კონტროლი და ყურადღება აკლია. სახლმმართველობები, პედაგოგ-ორგანიზატორები მოსახლეობაში ფიზკულტურული საქმიანობის გაშლისთვის არ იყენებენ სამისოდ გამოყოფილ სახსრებს.

სიტყვის უფლებას იღებს

**ვ. ბალავაძე,**
საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

— მოზარდებთან მომუშავე პედაგოგებისა და სპეციალისტების უმრავლესობა მოვალეობის მოხდის მიზნით მხოლოდ ფიზკულტურის აკადემიური გაკვეთილების ჩატარებას სჯერდება და სპორტისთვის ნიჭიერ ახალგაზრდებს არ ეძებს.

დაბალია უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების მუშაობის ხარისხი. ქებას იმსახურებს მხოლოდ ჭიდაობის სკოლა, სხვები გეგმებს ვერ ასრულებენ.

საყვედურის ღირსნი არიან მშენებლები. ჭადრაკის სასახლის მშენებლებმაც კი, რომლებმაც შენობის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მრავალი ჯილდო მიიღეს, გადახურვის დროს უხეში შეცდომები დაუშვეს და დღეს ან ახალ შენობაში წვიმა ჩამოდის.

მოუქნელად მუშაობენ ფედერაციები. მათი ავტორიტეტის განმტკიცებისთვის საჭიროა ფედერაციების თავმჯდომარეობა გამოცდილ ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებს ვანდოთ.

აქტივის კრებაზე საქმიანი წინადადებებით გამოვიდა

**ა. მელია,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი

— რესპუბლიკური სპორტის ჩამორჩენის მიზეზები მოსწავლეთა და სტუდენტთა სპორტის დაბალ დონეში უნდა ვეძებოთ. უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულ ცხოვრებაში, კადრების აღზრდაში დაშვებულია სერიოზული შეცდომები. რესპუბლიკაში მოუგვარებელია არსებული სპორტული ბაზებით სარგებლობის საკითხი. ფიზკულტურის ინსტიტუტი საკუთარ ბაზებზე საწვრთნელი მეცადინეობებისა და შეჯიბრებების ჩატარებისთვის იჯარას იხდის. ჩემი აზრით, აუცილებელია ამ ინსტიტუტის ბაზაზე ბავშვთა კომპლექსური სპორტსკოლის გახსნა.

სიტყვას ამბობს

**მ. ცხვედაძე,**
საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისთვის, რომელიც 14 ათას სტუდენტს ითვლის, ბოლო წლებში არც ერთი სპორტული ბაზა არ აგებულა. ერთადერთ დარბაზში სამეცადინოდ ხშირად ასობით სტუდენტი იყრის თავს. საღამოობით ეს დარბაზი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების განკარგულებაშია. ამიტომ ინსტიტუტში სექციური მუშაობა ჩამორჩა. ინსტიტუტი ბაზების იჯარით აღებისთვის ყოველწლიურად იმდენ თანხას ხარჯავს, რომ ერთი კარგი კომპლექსის ასაგებად იკმარებდა.

ჯერ კიდევ გვხვდება სიყალბის შემთხვევები. ერთი და იგივე გუნდი თუ სპორტსმენი ერთდროულად ემსახურება ინსტიტუტს, სპორტსაზოგადოებას, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლას.

საქმეს ღუპავს სხვადასხვა ადგილზე მწვრთნელთა შეთავსებით მუშაობაც. ბავშვებთან მომუშავე ყველა კარგი მწვრთნელი უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებმა გადაიბირეს.

კრიტიკას იმსახურებენ საქართველოს სპორტკომიტეტი, მისი განყოფილებები, მთავარი მწვრთნელები, რომლებიც ნაკლოვანებების წინააღმდეგ არასოდეს დაუნდობლად არ იბრძოდნენ. მათი მთავარი საზრუნავი ნაკრები გუნდები იყო, ამ გუნდების რეზერვზე კი არავინ ფიქრობდა.

ტრიბუნაზეა

**ნ. დუმბაძე,**
უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის დირექტორი

— რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, უწყებები, სპორტსაზოგადოებები უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლებს თითქმის ვერავითარ შევსებას ვერ აძლევენ. განათლების სამინისტროს ორგანიზაციები არაფერს აკეთებენ სათხილამურო სპორტის განვითარებისთვის. რესპუბლიკაში ჩამორჩა მძლეოსნობა, ვინაიდან ხეირიანი სავარჯიშო და საასპარეზო ბილიკები არსადაა. მძლეოსნებს ტყორცნაში სავარჯიშო ადგილი არ გააჩნიათ. არავინ იცის, როდის დასრულდება მანეჟის მშენებლობა. მტკვარზე არსებული სანიჩბოსნო სადგურში ინვენტარი არ არის, სპორტულ ბაზებთან მდებარე სასადილოები და რესტორნები წვრთნას ხელს უშლის. თბილისის ზღვაზე საშველი არ დაადგა აფროსნობის კლუბის აგებას.

აქტივის კრებაზე გამოვიდა

**ვ. მდივანი,**
ჟურნალისტი

— ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სკოლაში სექციური მუშაობა ჩაშლილია. ცურვის სექცია საქართველოს არც ერთ სკოლაში არ არის შექმნილი. სპორტში სპეციალიზაციის შემოღებამ მასობრივი სპორტის განვითარება შეაფერხა. ყურადღება არ ექცევა ცურვასა და მძლეოსნობაში ეროვნული კადრების აღზრდას...

... საქართველოს სპორტკომიტეტი მთელი სიმკაცრით უნდა ებრძოდეს ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ სიყალბეს, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლობას, პროტექციონიზმს, მეტი უნდა გააკეთოს სპორტკომიტეტების მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველყოფისთვის.

ვ. მდივანმა ილაპარაკა, აგრეთვე, მძლეოსნობის, ცურვისა და სათხილამურო სპორტის მდგომარეობაზე. ზოგიერთი ფიზკულტურის მასწავლებლის დაუდევრობაზე ჩვენი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდა

**გ. კარტოზია,**
თბილისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი

— ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი საყვედურს იმსახურებს იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში მოკრივეებსა და მშვილდოსნებს უფროსი მწვრთნელები დღემდე არა ჰყავთ.

საქმეს ისიც აფერხებს, რომ ხელმძღვანელი ორგანოები, მათ შორის ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტიც, არ ზრუნავენ საკავშირო შეჯიბრებებში საქართველოს გუნდების გამოსვლის გაანალიზებისთვის. ნაკლები ყურადღება ექცევა მიღებული დადგენილებების შესრულებისთვის ბრძოლას. ფიზკულტურის საქალაქო და რესპუბლიკური კომიტეტების სხდომებზე არ იწვევენ ქალაქისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკებს, ხშირად ხდება ხოლმე, როცა ფიზკულტურის მესვეურები შეჯიბრებებზე არ დადიან.

აქტივის კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს, აგრეთვე, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბ. თავართქილაძემ, აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. მამუჩაძემ, მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" დირექტორის მოადგილემ გ. ხიტურიძემ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსმა ი. ბაცელაშვილმა.

სიტყვით გამოვიდა

**ფ. მახარაძე,**
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც დღეს განვიხილეთ, რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ზრუნვის ნათელი დადასტურებაა და ამ ზრუნვას სათანადო დაფასება სჭირდება. ჩვენი, ყველა ფიზკულტურული და სპორტული მუშაკის, ყველა სპორტსმენის ვალია გარკვეცებული ენერგიით ვიმუშაოთ დადგენილებით დასახული ამოცანების პირნათლად შესასრულებლად. დღევანდელ კრებაზე კამოსულთა კრიტიკული შენიშვნები საფუძვლიანია. კომიტეტის შტატების გადახალისება მართლაც საჭიროა, მაგრამ ეს გარკვეულ დროს მოითხოვს.

კომიტეტმა სხვადასხვა ადგილზე შეთავსებით მუშაობის პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე დაიწყო. მაგალითად, ილინი, რომელსაც ორი საპასუხისმგებლო თანამდებობა ეკავა და არც ერთგან ხეირიანად არ მუშაობდა, ცურვის სკოლიდან გავათავისუფლეთ. ასეთი ღონისძიება სხვაც გავატარეთ.

ფ. მახარაძემ ილაპარაკა, აგრეთვე, ბავშვთა სპორტზე, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ჩვენი ნაკრების უკან დახევის მიზეზებზე, ფიზკულტურის ინსტიტუტის მუშაობის გარდაქმნის აუცილებლობაზე. გაილაშქრა მშდ კომპლექსის დანერგვაში ფორმალიზმის წინააღმდეგ. ილაპარაკა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის სამზადისზე, ბაზების მდგომარეობაზე, რაიონების, ქალაქების ფიზკულტურის კომიტეტების საქმიანობაზე. დასასრულს ფ. მახარაძემ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა სახელით პირობა მისცა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები თავს არ დაზოგავენ მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისთვის.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. ო. ჩერქეზია.

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. შარტავა.

# ნავებით ზაქესთან

ზაჰესის მიდამოებში ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს ჩემპიონატი სანიჩბოსნო სლალომში. პროგრამაში იყო შეჯიბრება ერთადგილიანი ბაიდარებით, ერთ და ორადგილიანი კანოეებით. ასპარეზობას უნდა შეეჯამებინა რესპუბლიკაში ამ სახეობის განვითარებისთვის გაწეული მუშაობა, შეერჩია უძლიერესი სპორტსმენები და დაესახელებინა საქართველოს ნაკრების კანდიდატები, რომლებიც 10 აგვისტოდან ქუთაისში სსრ კავშირის პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას.

კარგად გამოვიდნენ „ლოკომოტივის" ნიჩბოსნები, რომლებმაც თორმეტიდან შვიდი საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ერთადგილიანი ბაიდარებით ვაჟთა შორის. ამ სახეობაში დისტანცია ორივე ცდაზე უშეცდომოდ გაიარა თბილისელმა ს. ციცქიშვილმა („შრომითი რეზერვები"). მან საუკეთესო ცდაზე დისტანციის გავლას 7.34,03 მოანდომა და 454 საჯარიმო ქულით რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

უფრო სწრაფი აღმოჩნდა თბილისელი ნ. ცხოვრებოვის („ლოკომოტივი") ბაიდარა — 7.27,0 (447 ქულა), მაგრამ სპორტსმენმა კართა გავლისას დამატებით 20 საჯარიმო ქულა მიიღო. საბოლოოდ მას 467 ქულა დაუგროვდა და II ადგილს დასჯერდა.

III ადგილზეა სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი სლალომისტი, მიუნხენის ოლიმპიადის მონაწილე გ. ნასყიდაშვილი — 510. პირველ ცდაზე მან 8 წუთი დახარჯა, 30 ქულა კი კარების გავლისას დაშვებული შეცდომისთვის მიიღო. ნასყიდაშვილი მეორე ცდაზე უშეცდომოდ მიდიოდა, მაგრამ მერე მოულოდნელად რბოლას გამოეთიშა.

ერთადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში უფრო გამოცდილ ი. ამეტოვსა (თბილისის ასკ) და თ. გაბრიელიანს (მცხეთა, „შრომითი რეზერვები") სძლია მცხეთელმა ვ. როსტენკომ („ლოკომოტივი"). მან მეტოქეებს აჯობა როგორც სისწრაფეში, ისე ტექნიკაში. როსტენკომ კართა გავლისას მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა — მე-16 კართან 10 ქულით დაჯარიმდა. დისტანცია მან 11 წუთსა და 52 წამში დაფარა, ხოლო საბოლოოდ 722 ქულა მიიღო.

II ადგილი მოიპოვა ამეტოვმა. მან მე-12, მე-19 და 22-ე კარების გავლისას 10-10 ქულა მიიღო ჯარიმად, ხოლო მე-16 კართან ამას კიდევ 20 ქულა დაემატა, ამეტოვმა ფინიშამდე მისვლას 12.19,0 მოანდომა და საბოლოოდ 789 საჯარიმო ქულა დაუგროვდა. III ადგილზეა გაბრიელიანი — 790.

ორადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდათ თბილისელ ძმებს ბ. და ი. კაშურნიკოვებს („ლოკომოტივი") — 11.05,0. ეს დუეტი ტრასის გავლისას მხოლოდ ორჯერ შეცდა — მე-6 და მე-9 კარებთან, მაგრამ ორივეჯერ 20-20 ქულით დაჯარიმდა — 705 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებიც რკინიგზელ ნიჩბოსნებს ხვდათ. ლ. კოიგოროდოვ — ვ. მატაშენკოს შედეგია 13.50,0, ე. ვარლამოვ — ვ. თომაშვილისა — 11.42,0;

ქალები ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით ვაჟებს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. აქ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ნ. პერეკრესტი — 12.06,0, 2. ნ. მატაშენკო (ორივე — თბილისი, „ლოკომოტივი") — 14.15,0, 3. თ. კედელაშვილი (რუსთავი, „შრომითი რეზერვები") — 14.32,0.

**რ. ჩალრაძე.**



ორთაბრძოლა.

ა. გურასაშვილის ფოტო.

## რატომ ფილიბერი?

**მკითხველი მ. ახვლედიანი (თბილისი) გვეკითხება: ნიცაში XXI საჭადრაკო ოლიმპიადის სიმბოლო იყო მინიატურული ფიგურა ფილიბერი. საიდან გაჩნდა ეს სახელი?**

ოლიმპიადის ფრანგმა ორგანიზატორებმა მოჭადრაკეთა ამ დიდი თავშეყრის სიმბოლოს ფილიბერი ერთი ისტორიული ამბის მიხედვით შეარქვეს.

დაახლოებით 400 წლის წინათ საფრანგეთის მეფემ ფრანსუა პირველმა გამოაცხადა, რომ თავის ქალიშვილს მარგარიტას ცოლად მხოლოდ... ძლიერ მოჭადრაკეს გაატანდა. სასიძოს ამოსარჩევად მეფემ ტურნირი გამართა, მაგრამ შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველას როდი შეეძლო. რჩეულთა შორის იყო ჰერცოგი სახელად ფილიბერი. სწორედ მისი სახელი შეერქვა XXI ოლიმპიადის სიმბოლოს.

ფილიბერი ოლიმპიადის მონაწილეებისთვის თილისმა იყო, ხოლო სტუმრებისთვის — კარგი სუვენირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ამას წინათ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი აკადემიურ ნიჩბოსნობაში. აგვისტოს დამლევსა და სექტემბრის დამდეგს სსრ კავშირის ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ევროპის პირველობაში, რომელიც შვეიცარიაში ჩატარდება.

* * *

სურათებზე: კიევის არმიელი სპორტსმენი, 19 წლის ნ. დოვგანი, რომელმაც ერთადგილიანი ნავებით შეჯიბრებაში სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, ჩამოიტოვა ოლიმპიური ჩემპიონი ი. მელნიკოვი და ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ვ. ბუტკუსი; სსრ კავშირის ჩემპიონი რვაადგილიანი ნავებით რბოლაში — ნოვგოროდის „სპარტაკის" ქალთა გუნდი (მომხმელი ნ. ბისტროვა); სსრ კავშირის ჩემპიონები ქალთა შორის ორადგილიანი გასაშლელი მესაჭიანი ნავებით შეჯიბრებაში ი. გუიბოვსკა და რ. ვაინბერგი (რიგის „დინამო").

ვ. უნ და-სინის ფოტო.

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის პირველობა

### II ლიგა III ზონა

3 აგვისტოს გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ მატჩების შესახებ.

### „დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:0

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ლიდერს და, თუმცა, მატჩი თავიდანვე ბათუმელთა დიდი უპირატესობით მიმდინარეობდა, მეძლეს კარის უხიფათობის შენარჩუნება პირველი 45 წუთის მანძილზე. სტავროპოლელთა მცველები და მეკარე ჰასანოვი სრული დატვირთვით იბრძოდნენ, მე-40 წუთზე კი, საპასუხო კონტრშეტევისას, ზიმენკოს ძლიერი დარტყმა ძელს მოხვდა.

გაცილებით უფრო მიზანდასახულად და გეგმიანად უტევდა ლიდერი შესვენების შემდეგ. რამდენიმე სახიფათო მომენტის მერე, 61-ე წუთზე, ჰასანოვმა შეცდომა დაუშვა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლა ჩელებაძემ — 1:0. მასპინძლებმა კიდევ უფრო გააძლიერეს იერიშები, ერთ-ერთ მომენტში სტავროპოლელთა მცველმა ანდრეევმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი ბეჟანიძის დარტყმის შემდეგ, მაგრამ 81-ე წუთზე ჩელებაძე კვლავ სახიფათო პოზიციაში აღმოჩნდა და ზუსტად დაამთავრა იესებუას მიერ წამოწყებული კომბინაცია — 2:0.

საუკეთესო მოთამაშეთათვის დაწესებული სპეციალური პრიზები გადაეცათ ბათუმელ ჭეიშვილს და სტავროპოლელ იარიკოვს.

თ. მურვანიძე.

### „დილა" (გორი) — „ურალანი" (ელისტა) 1:2

გორის გუნდის ბოლო დროის წარმატებებზე ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან და ვერც მაყურებლები დაემდურებიან მას, მაგრამ უკანასკნელ 2 ტურში „დილამ" საკუთარ მინდორზე 3 ქულა დაკარგა და ამან არ შეიძლება გარკვეული შეშფოთება არ გამოიწვიოს. ცხადია, ადგილი აქვს გარკვეულ თვითდამშვიდებას, ცალკეულ ფეხბურთელთა თამაშში იგრძნობა ზედმეტი ინდივიდუალური მოქმედებანი, კოლექტივიზმის პრინციპებისგან გადახვევა. იმ პერიოდში, როცა მოპოვებულია ასეთი შედეგები, არ შეიძლება ყურადღების მოდუნება არც ერთ მატჩში, მით უმეტეს, რომ გორელ ფეხბურთელებს შესწევთ ძალა იბრძოლონ ადრინდელ დონეზე.

მატჩის დასაწყისი მიმდინარეობდა ისე, რომ მასპინძელთა გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა: მე-13 წუთზე ჭელიძემ ზუსტი, ძლიერი დარტყმით დაამთავრა შუა მინდვრიდან წამოწყებული კომბინაცია, მაგრამ მასპინძელთა უპირატესობა, სამწუხაროდ, ამით ამოიწურა. მე-19 წუთზე სინჩინსკიმ კარგად გამოიყენა მოპირდაპირე მცველთა შეცდომა და გაქვითა გოლი, ხოლო ტაიმის დასასრულს ისნიჩენკომ წინ გაიყვანა „ურალანი" — 2:1.

მეორე ტაიმში გორელთა მრავალ ცდას, თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის შედეგი არ მოჰყოლია. 63-ე წუთზე ელისტელთა კარში ბურჯანაძის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი, მაგრამ იმავე ბურჯანაძემ ვერ შეძლო პენალტის რეალიზება და „დილამ" დამარცხებულმა დატოვა მინდორი.

ი. თევდორაშვილი.

### „მერცხალი" (მახარაძე) — „ისკრა" (სმოლენსკი) 2:0

ზონის ერთ-ერთ ლიდერთან მატჩში მახარაძელმა ფეხბურთელებმა საუკეთესო საბრძოლო თვისებები გამოამჟღავნეს და უკვე პირველივე წუთზე ზედიზედ 5 სახიფათო იერიში განახორციელეს მეტოქის საჯარიმო მოედანზე, მე-4 წუთზე კი „ისკრის" მეკარეს ბადიდან მოუხდა ბურთის გამოტანა ისიანის სწრაფი და ეფექტური გარღვევის შემდეგ — 1:0.

გავიდა 10 წუთი და კუთხურიდან გათამაშებული კომბინაცია ჩხაიძე-მირიანაშვილი-კაკალაძე კარგად დაამთავრა ამ უკანასკნელმა — 2:0.

„ისკრამ" ტაიმის დასასრულამდე სცადა მდგომარეობის გამოსწორება, რამდენიმე ძლიერი იერიშიც განახორციელა, მაგრამ საიმედოდ ითამაშეს „მერცხლის" მცველებმა და მეკარე ჩემინავამ.

კიდევ უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა თამაში შესვენების შემდეგ. სმოლენსკელები ცდას არ აკლებდნენ ეხსნათ წაგებული მატჩი, მასპინძელთა დაცვითი ხაზები კი ამ დროს ყურადღებით მოქმედებდნენ, წინა ხაზის მოთამაშეებიც ხშირად გადადიოდნენ კონტრშეტევაზე. საბოლოოდ „მერცხალმა" შეძლო ამ მეტად მნიშვნელოვანი და საჭირო გამარჯვების შენარჩუნება.

ვ. ზავიშვილი.

### „დინამო" (ზუგდიდი) — „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) 5:1

ზუგდიდელთა კოლექტივმა შეძლო კიდევ ერთხელ ეჩვენებინა თავისი გულშემატკივრებისთვის, რომ მას საკმაოდ შესწევს ძალა წარმატებით იბრძოლოს ლიგაში და გამოასწოროს ის ჩავარდნა, რომელიც მას სულ ახლახან ჰქონდა.

თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი იერიშებით და უკვე მე-8 წუთზე გადელიამ ცენტრიდან დააწყებინა სტუმრებს თამაში. „ხიმიკი" მთელი ძალებით იცავდა თავს, მაგრამ 22-ე წუთზე ქვარაიამ კარგად ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და მეორე ბურთი გაგზავნა მოწინააღმდეგის კარში.

ტაიმის დასასრულს სტუმრებმა შეძლეს კონტრთამაშის შექმნა, რის შედეგადაც ეფრემოვმა მე-40 წუთზე გაიტანა 1 საპასუხო გოლი.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და დინამოელებს უკვე აღარ დაუთმიათ საერთო უპირატესობა. გუნდი მოქმედებდა შეთანხმებულად, სწრაფად, რასაც მოჰყვა გადელიას (2) და გულორდავას მიერ გატანილი მორიგი გოლები.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებს ეფრემოვს და გადელიას გადაეცათ სპეციალური პრიზები.

ზ. ალშიბაია.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:1, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „დინამო" (ვოლოგდა) 1:1, „კოლხეთი" (ფოთი) — „ხიმიკი" (ძერჟინსკი) 0:0, „გურია" (ლანჩხუთი) — „ტორპედო" (ვლადიმირი) 0:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ლორი" (კიროვაკანი) 4:1.

## მეშახტეთა ავტობუსის მარშრუტი

ყოველდღე, ყოველი ცვლის შემდეგ, კრასნოდარის შახტ „სუხოდოლსკაიადან" ცისფერი ავტობუსი მდინარე სევერნი დონეცის ნაპირებისკენ იღებს გეზს. ავტობუსში ყველაზე ხშირად ნახავთ მე-5 უბნის ფიზორგს ვ. ხოხლენკოვს და ნ. ბეზრუკოვის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის წევრებს. გ. იზვარინის რგოლი, მაგალითად, მდინარეზე მთელი შემადგენლობით მიემგზავრება ხოლმე.

მეშახტეები ნაყოფიერი შრომის შემდეგ მდინარის ნაპირებზე ისვენებენ, იწრთობიან, ვარჯიშობენ. მათ იქ საუცხოო სპორტული ბაზა შექმნეს, წყლის პირას მოწყობილია ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ხტომის სექტორები, ჩოგბურთის კორტები.

ზაფხულის ცხელ დღეებში მეშახტეებს, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ცურვა უყვართ. თვით ყველაზე თავგამოდებული ჩოგბურთელები ი. ბილეცკი და გ. დოლომანოვიც კი ამ ცხელ დღეებში მდინარის ტალღებს ამჯობინებენ და ამხანაგებს სწრაფად ცურვაში ეჯიბრებიან. რასაკვირველია, იზვარინისთანა გამოცდილ მოცურავესთან ბრძოლა ძნელია, მაგრამ თანრიგოსნის დონეს თითქმის უკვე მიაღწიეს ა. ნებაჩენკომ, გ. შევცოვმა, ნ. მარჩენკომ. მათ „ფრიადზე" ჩააბარეს მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი. სულ ბრიგადაში 50-დან 42 მუშამ მიიღო კომპლექსის სამკერდე ნიშნები. 30-ზე მეტ მეშახტეს სპორტული თანრიგი აქვს. კოლექტივში მომზადებულია სამი საზოგადოებრივი მწვრთნელი, სამმა მსაჯის მოწმობებიც მიიღო.

ნ. ბეზრუკოვის ბრიგადამ პირველი ადგილი დაიკავა უკრაინის საწარმოო კოლექტივებს შორის რესპუბლიკურ შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდა დევიზით „სპორტი — ხუთწლედის სამსახურში". სპორტი კი, როგორც ცნობილია, შრომითი წარმატებების საწინდარია.

ა. კოვალენკო.

კრასნოდარი.

# ახალი პრეზიდენტი პროგრესის მომხრეა

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) კონგრესის გადაწყვეტილებას ამ ფედერაციის პრეზიდენტის, 79 წლის ს. როუზის გადადგომის შესახებ მხურვალედ მიესალმნენ არა მარტო ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლები, არამედ თვით ფიფა-ს წევრებიც. ინგლისელი ს. როუზის საქმიანობამ რამდენადმე შეურყია ავტორიტეტი ერთ-ერთ უძველეს საერთაშორისო ფედერაციას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მას უცხოეთში რეაქციული ორგანიზაცია შეარქვეს.

ფიფა-ს პრეზიდენტის აქციები განსაკუთრებით დაეცა მას შემდეგ, რაც როუზმა უცნაური პოზიცია დაიკავა ჩილის სამხედრო ხუნტის მიმართ და ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის კონფლიქტი პირველის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ფაქტიურად, ეს იყო ფიფა-ს პრეზიდენტის კარიერის დასასრული, რომელმაც იურიდიული სახე კონგრესზე მიიღო..

მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ როუზმა უბრძოლველად დათმო თავისი პოსტი. ხელშემწყობი ყოფილ პრეზიდენტს საკმარისად ბევრი აღმოაჩნდა და ამის გამო ჩვეულებრივზე მეტად გაჭიანურდა კენჭისყრის პროცედურა.

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციების კონგრესმა როუზს დაუპირისპირა ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის თავმჯდომარე ჟოაო ჰაველანჟი. კენჭისყრის პირველსავე ტურში ბრაზილიელმა კანდიდატმა 62 ხმა მიიღო, ექვსით მეტი, ვიდრე როუზმა. მაგრამ ეს 6 ხმა საკმარისი არ აღმოჩნდა ახალი პრეზიდენტის ასარჩევად. II ტურში ჰაველანჟის გამარჯვება უფრო დამაჯერებელი იყო. მან მიიღო 68 ხმა, როუზის 52 ხმის წინააღმდეგ. ჰაველანჟი ფიფა-ს პრეზიდენტად აირჩიეს, მაგრამ პოსტი მან ჩაიბარა მხოლოდ 7 ივლისს, მსოფლიოს X ჩემპიონატის ფინალური მატჩის შემდეგ.

ჟ. ჰაველანჟი 58 წლისაა, პროფესიით იურისტი. ეს ბრაზილიელი მულტიმილიონერი ფლობს რამდენიმე ქიმიურ ქარხანას, ბანკს, სადაზღვევო ფირმას, ახალგაზრდობაში გატაცებული იყო ცურვით და წყალბურთით, მონაწილეობა აქვს მიღებული ოლიმპიურ თამაშებში. ჰაველანჟს, ისევე როგორც ფიფა-ს ახალ ვიცე-პრეზიდენტს ჰ. ნოიბერგერს (გფრ-ის საფეხბურთო კავშირის თავმჯდომარე) განზრახული აქვს არ გაიმეოროს თავისი წინამორბედის შეცდომები და ყველა საკითხი გადაწყვიტოს თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, ობიექტურად და ოპერატიულად. ახალი პრეზიდენტის აზრით, ფიფა პროგრესული, ხალხთა შორის მეგობრობის იდეათა მქადაგებელი ორგანიზაცია უნდა გახდეს.

სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად კონგრესმა წამოაყენა მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ახალი სისტემა და დაასახელა მომავალი ტურნირების ადგილები. მას შემდეგ სამ კვირაზე მეტი გავიდა. ეს დრო საჭირო იყო ახალი წინადადებების განსახილველად.

ახლა ცნობილი გახდა, რომ ეროვნულმა ფედერაციებმა მოიწონეს ფიფა-ს ახალი ხელმძღვანელობის რეკომენდაციები. ამ წინადადებებმა უკვე კანონის სახე მიიღეს, რომლის ძალითაც მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში 20 გუნდი იასპარეზებს. ამ ოთხ ახალ ადგილს თანაბრად გაინაწილებენ ევროპა, ამერიკა, აფრიკა და აზია. დამტკიცდა, აგრეთვე, სამი უახლოესი ჩემპიონატის გრაფიკი: მსოფლიოს XI ჩემპიონატის ფინალი ჩატარდება 1978 წელს არგენტინაში, XII — ესპანეთში (1982 წ.), XIII — კოლუმბიაში (1986 წ.).

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. შ0 04702